

ვალერი ასათიანი

აკაკი ურუშაძე



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1995

წიგნი ეძღვნება ცნობილი ქართველი მეცნიერის, ქართული კლასიკური ფილოლოგიის სკოლის თვალსა-
ჩინო წარმომადგენლის, ჩინებული მთარგმნელისა და
პედაგოგის—აქაკი ურუშაძის ცხოვრებასა და მოღვა-
წეობას. ნაშრომს ერთვის სამეცნიერო შრომების ნუსხა.

განკუთვნილია ფილოლოგებისა და მკითხველთა
ფართო წრისათვის.

რედაქტორი

საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
პროფესორი რ. გორდეზიანი

რეცენზენტი პროფესორი რ. მიმინოშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995

აქაკი ურუშაძე

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის განვითარება განსაკუთრებულად რამდენიმე თვალსაჩინო მეცნიერისა და მოღვაწის სახელს უკავშირდება. ერთ-ერთი მათგანია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე აქაკი ვლადიმერის ძე ურუშაძე.

აქაკი ურუშაძე დაიბადა 1918 წლის 27 ოქტომბერს თბილისში, პოლიგრაფისტის ოჯახში. თბილისის 26-ე შრომის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1936 წლიდან, სწავლობდა ჯერ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, შემდეგ—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1940 წელს და მიიღო ფილოლოგიის — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია, ამავე წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასპირანტურაში. სწავლასთან ერთად მუშაობდა სკოლაში ლათინური ენის მასწავლებლად. 1944 წელს დაასრულა ასპირანტურა.

1946 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „აპოლონიოს როდოსელი და მისი არგონავტიკა“. დისერტაცია ცალკე წიგნად გამოიცა 1948 წელს. 1964 წელს აკ. ურუშაძემ დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, რომელიც ასევე ცალკე წიგნად გამოიცა.

1943 წლიდან იგი მუშაობდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად, შემდეგ კი—დოცენტად და პროფესორად, ხოლო 1968 წლის აპრილიდან გარდაცვალებამდე (1989 წ.) ხსენებული კათედრის გამგედ.

1943—1950 წწ. შეთავსებით მუშაობდა გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ ლექტორად, ხოლო 1947 წლიდან—მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ. იგი თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა დროს კითხულობდა სალექციო კურსებს ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში, ძველ ბერძნულსა და ლათინურ ენებში, წარმართავდა სპეცკურსებს კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე.

1962—1964 წლებში აკაკი ურუშაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, 1964—1972 წლებში—ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, თსუ ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ერთხანს აკ. ურუშაძე თავმჯდომარეობდა აგრეთვე სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოს კლასიკური ფილოლოგიის განხრით.

მასწავლებელთა მიერ დასახული ამოცანის ერთგულმა მსახურმა ელინური ფილოლოგიის ცალკეული მხარეების შესწავლით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიის კარდინალური პრობლემების შესწავლაში. ფართო და მრავალფეროვანია აკ. ურუშაძის მეცნიერული კვლევის პრობლემატიკა: ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნულ-რომაული ლიტერატურა და მითოლოგია, კლასიკური ენათმეცნიერების საკითხები, ანტიკური ეპოქის ავტორთა თარგმნა და კრიტიკული გამოცემა, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი. ამ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევას მეცნიერმა მრავალი ფართო ერუდიციითა და სწავლულის ოსტატობით აღბეჭდილი მონოგრაფია და სტატია მიუძღვნა (იხ. გ. კოპლატაძე, ღვაწლი და საქმე წარმოაჩენს, გაზ. „თბილისი“, 1988 წ. 2. XI).

„ჩემი სამეცნიერო მუშაობის ძირითადი სფეროა, — აღნიშნავდა მეცნიერი, — კლასიკური ფილოლოგიისა და ბერძნულ-ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობის საკითხები და აგრეთვე ბერძნულ და ლათინურენოვან ავტორთა მნიშვნელოვანო თხზულებების თარგმნა და სამეცნიერო აპარატით აღკვეთვა“. ამ მხრივ მან ბევრი რამ შესძლო.

უაღრესად საგულისხმოა აკ. ურუშაძის მიერ მომზადებული და

გამოცემული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების მნიშვნელობა. აკ. ურუშაძის ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი დისერტაცია. იგი ყოველთვის დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეს.

ერთგან აკაკი ურუშაძე აღნიშნავს: „ლიტერატურისა და ძველი საეკლესიო სიყვარული ყმაწვილობის ეპოს, სკოლაში სწავლის დროს, აღმეძრა. ამ ინტერესს, უწინარეს ყოვლისა, ხელი შეუწყო იმან, რომ მამაჩემს, ძველ პოლიგრაფისტსა და წიგნების მოყვარულ კაცს, შინ პატარა, მაგრამ მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდა და ჩემთვის ხელმისაწვდომ წიგნებს ხალისით ეკითხულობდი. განსაკუთრებით მინდა გავიხსენო, რა დიდი გატაცებით გეწაფებოდი ქართული თანამედროვე პროზის უბაღლო ოსტატების — კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჭავჭავაძის მამინ გამოცემულ თხზულებებს. დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე ჩემი სკოლის მასწავლებლებმა (თბილისის ერთ-ერთ მოწინავე, 26-ე შრომის სკოლაში ვსწავლობდი). საშუალო სკოლაში მამინ (20—30-იანი წლების პირველ ნახევარში) სხვაგვარი ვითარება გახლდათ: ბევრი რამის სწავლება, რაც ახლა აუცილებელია ოფიციალური პროგრამებით, დაუშვებელი იყო. რუსთაველი, ილია, აკაკი... ფეოდალიზმის კლასის წარმომადგენელ მწერლებად იყვნენ გამოცნადებულნი და მათი სწავლება არასასურველ საქმედ მიაჩნდათ. მიუხედავად ამისა, ჩვენი მასწავლებლების უმრავლესობა მაინც გვაძლევდა საჭირო ცოდნას განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქართული ენისა და მწერლობის ჩემი დაუფიქსარი მასწავლებელი ბაბო წერეთელი (ცნობილი სემიტოლოგის გიორგი წერეთლის უფროსი და). იგი ღრმად და უსაზღვრო სიყვარულით გვაწავლიდა რუსთაველსაც, ილიასაც, აკაკისაც და სხვა „დაგმობილ“ მწერლებსაც...

1935—1936 წლებში, როცა სტუდენტი გახვდი, საქვეყნოდ ცნობილ ელინისტთან გრიგოლ წერეთელთან შეხვედრამ, მისმა „ბერძნული ლიტერატურის ისტორიამ“ და განსაკუთრებით გამორჩეულ მასწავლებელთან, პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილთან მეცადინეობამ საბოლოოდ განსაზღვრა ჩემი პროფესიული მომავალი“.

აკაკი ურუშაძე ამაყობდა თავისი დიდი მასწავლებლით, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილით და ყოველთვის საოცარი მაღლიერების გრძნობით იხსენიებდა მას. „ივანე ჭავჭავაძისა და გრიგოლ წერეთლის მიერ წამოწყებული საქმე თანდათანობით მაღალ დონეზე აიყვა-

ნა სასიკადადლო მეცნიერმა და პედაგოგმა სიმონ ყაუხჩიშვილმა. თავისთავად დიდი შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულების ელინური ფილოლოგია მან (ს. ყაუხჩიშვილმა—ვ. ა.) საქართველოში ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო დარგად აქცია და მიზნად დაუსახა ქართვოლოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემათა ნათელყოფა. ბერძნულ-ქართული კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლა... აი, ამას შთააგონებდა იგი თავის შეგირდებს, რომელთა რიცხვში მეც გახლდით. იმთავითვე ვცდილობდი ჩემი მუშაობა გათვალისწინებული გეზით წარმემართა“.

მართლაც, აკაკი ურუშაძემ მთელი თავისი საქმიანობა ღირსეულად წარმართა. მან ეროვნულ მეცნიერებას შესანიშნავი გამოკვლევები შესძინა, დიდი ღვაწლი დასდო ახალგაზრდობის, სპეციალისტთა თაობების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, მრავალი ზეგობარი შესძინა საქართველოს და ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურა მას.

ამას ნათლად ადასტურებს აკაკი ურუშაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

1972 წელს უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ილია ვეკუას დიდი მხარდაჭერით უნივერსიტეტში შეიქმნა „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“, რომლის პირველი თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი აკაკი ურუშაძე იყო.

ბიბლიოთეკის დებულებაში ვკითხულობთ: „ქართულ ენაზე ანტიკური, ბიზანტიური და შუა საუკუნეების ევროპის ბერძნულ-ლათინურენოვან ძეგლთა (მხატვრული ლიტერატურისა და სამეცნიერო-ფილოსოფიური ტრაქტატების) თარგმნის საქმის მოსაგვარებლად და ამ დარგში დღემდე არსებული დიდი ხარვეზის შესავსებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის“ თარგმნისა და დამუშავების ჯგუფი; „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის“ თარგმნისა და დამუშავების ჯგუფი მიზნად ისახავს ანტიკური, ბიზანტიური და შუა საუკუნეების ევროპის ბერძნულ-ლათინურენოვანი ლიტერატურული ძეგლებისა და სამეცნიერო-ფილოსოფიური ტრაქტატების თარგმნასა და გამოცემას, რათა ქართველ ახალგაზრდობას, სტუდენტებსა და აგრეთვე მკითხველთა ფართო მასას საშუალება მიეცეს დედაენაზე წაიკითხოს და შეისწავლოს ბერძნულსა და ლათინურ ენებზე არსებული დიდი ისტორიული და მხატვრული ღირებულებების ძეგლები...“ აკ. ურუშაძის ხელმძღვანელობით

ამ საქმეს მყარი საფუძველი ჩაეყარა და იმთავითვე მიიქცია საზოგადოებრიობის ყურადღება. სწორედ ამ ბიბლიოთეკამ, რომელშიც კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულები საქმიანობენ, დღემდე არაერთი ანტიკური თუ შუა საუკუნეების ხანების ავტორთა წიგნები თარგმნა და გამოსცა. მათ შორის მრავალს ბატონი აკაკი რედაქტორობდა.

ბერძნულ-ლათინურენოვანი უმნიშვნელოვანესი მხატვრული და სამეცნიერო თხზულებების თარგმნა და მათი გამოცემა საჭირო სამეცნიერო აპარატის დართვით ცივილიზებული ერების სულიერი ცხოვრების აუცილებელ მხარეს წარმოადგენს. მითუმეტეს საშურ საქმედ წარმოგიდგება ეს უმდიდრესი მთარგმნელობითი ტრადიციების მქონე საქართველოში.

ბატონი აკაკი ხაზგასმით აღნიშნავდა: „თარგმანის საქმე ხელოვნებაა. მას ხელი უნდა მოჰკიდოს იმ პირმა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ღრმად ფლობს მშობლიურ ქართულს და იმ ენას, საიდანაც თარგმნის. შემთხვევითი პირი ამ საქმეს მხოლოდ ზიანს მოუტანს. ამის მაგალითები, სამწუხაროდ, უამრავია“. და ის, რომ თვით მოტანილი სიტყვების ავტორი ჩინებულად პასუხობდა ხსენებულ მოთხოვნებს, შესანიშნავად დასტურდება პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“, „არგონავტიკის“ და სხვა ძეგლთა აკაკი ურუშაძისეული ქართული თარგმანებით, „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის“ მრავალრიცხოვანი გამოცემებით.

1971 წელს აკ. ურუშაძე აირჩიეს ვინკელმანის სახელობის საერთაშორისო საზოგადოების წევრად. იგი სისტემატურად მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო კონფერენციებში, საქართველოს ეურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი წერილები მიეძღვნა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან საკითხს.

ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დიდმა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოში მოიწვია ქართველი მეცნიერები, რომელნიც სხვადასხვა კულტურულ-სამეცნიერო კერებში მოღვაწეობდნენ. მათ შორის იყო საქვეყნოდ ცნობილი ფილოლოგ-კლასიკოსი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი. გრიგოლ წერეთელი 1938 წლამდე ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის

კლასიკური ფილოლოგიის კათედრას და საფუძველს უყრიდა კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლის შექმნას, რომელმაც შემდგომში დიდი ეროვნული საქმე იტვირთა და ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა როგორც საკუთრივ კლასიკური ფილოლოგიის, ისე ქართული კულტურისა და მეცნიერების მრავალი პრობლემის შესწავლის საქმეში. ამას ადასტურებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა. გრიგოლ წერეთლის შემდეგ სიმონ ყაუხჩიშვილი განაგრძობდა კათედრას 1953 წლამდე. შემდეგ იგი შეცვალა შესანიშნავმა მეცნიერმა, პედაგოგმა და მთარგმნელმა პანტელეიმონ ბერაძემ. 1968 წლიდან სიკვდილამდე, 20 წლის მანძილზე დიდებულ წინამორბედთა საქმე ღირსეულად გააგრძელა ბატონმა აკაკიმ.

აქ ურუშაძე ყოველთვის სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტიოლოგიის სამეცნიერო დარგების სულისჩამდგმელებმა საქართველოში, ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა ივანე ჯავახიშვილმა და კორნელი კეკელიძემ, გრიგოლ წერეთელმა და სიმონ ყაუხჩიშვილმა იმთავითვე მიზნად დაისახეს ხსენებული დარგები ქართული კულტურის ისტორიის კვლევის სამსახურში ჩაყენებინათ. საქმე ეხებოდა შუა საუკუნეების საქართველოში უკვე მტკიცედ დამკვიდრებული ელინოფილური მიმართულების ჯანსაღი ტრადიციების აღორძინებას, იმ საქმის განვითარებას ახალ ეპოქაში და ახალ სამეცნიერო დონეზე, რომელსაც საძირკველი დაუდეს XI—XII საუკუნეების დიდმა ქართველმა მოღვაწეებმა—ეფრემ მცირემ, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებმა. არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიშმა. ელინური ფილოლოგია საქართველოში უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ თავისთავად საინტერესო, არამედ ეროვნული მნიშვნელობის დარგიც, რომელსაც უნდა გაერკვია ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები, შეესწავლა ბერძნულ-ბიზანტიურ-ქართული კულტურული კავშირთა მრავალსაუკუნოვანი ისტორია და გამოემზეურებინა მისი ჭერ კიდევ ამოუკითხავი თუ უცნობი ფურცლები“. ამ ძირითად ამოცანას ემსახურებოდა ელინური ფილოლოგია საქართველოში ყოველთვის და მას ემსახურება დღესაც“. აქ ურუშაძის მეცნიერული მემკვიდრეობა სწორედ ამ ორიენტაციისაა, და ეს ხაზი ეხლაც წარმატებით გრძელდება.

ყოველივე ეს, ცხადია, სრულიად არ გამორიცხავს საკუთრივ კლასიკური ფილოლოგიის საკითხთა კვლევას. ამას მოწმობს აკაკი ურუშაძის ნაშრომები კატონის, ციცერონის, ვერგილიუსის, ჰორაციუსის და სხვათა შესახებ. მაგრამ აკაკი ურუშაძის მუშაობის ძირითად გეზად ის მიზართულება დარჩა, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

ის, რომ კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლის წარმომადგენლები წარმატებით იკვლევდნენ, როგორც ქართველოლოგიის, ასევე საკუთრივ კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტიოლოგიის პრობლემებს. ნათლად სჩანს იმ საერთაშორისო აღიარებით, რომელიც წლების განმავლობაში ქართველმა მეცნიერებმა (ა. ალექსიძე, რ. გორდეზიანი, ე. ხინთიბიძე და სხვ.) მოიპოვეს.

უაღრესად მნიშვნელოვანია აკაკი ურუშაძის მიერ აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ.-ა III საუკ.) პოემის „არგონავტიკის“ პირველი ქართული თარგმანის შესრულება და გამოცემა. 1949 წელს ამ შრომას უნივერსიტეტის პრემია მიენიჭა.

1964 წელს აკ. ურუშაძემ გამოსცა ფუნდამენტური შრომა „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, გამოკვლევა, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითა და შენიშვნებით. წიგნში წარმოდგენილი დიდძალი მასალა შეიცავს ბერძენ მწერალთა ცნობებს, მოკიდებულს ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის XI საუკუნემდე. აქ გათვალისწინებულია ელინურა, ელინისტური და ბიზანტიური პერიოდების წერალობითი წყაროები, რომელთაგან ზოგი სრული, ზოგი კი ფრაგმენტული სახითაა მოღწეული ჩვენამდე. აღსანიშნავია, რომ ცნობილ ბერძენ მწერლებთან ერთად მონოგრაფიაში ვხვდებით ისეთ ავტორებსაც, ან-ანიმური თხზულებების ნაწყვეტებსა და ფრაგმენტებს, რომლებიც ძნელად ხელმისაწვდომი იყო იმ-ხანად და უცხოურ ენებზე არ თარგმნილა; ცნობათა დიდი ნაწილი არგონავტების თქმულებისა და კოლხეთის თვალსაზრისით პირველად არის მოზიდული, ახლებურადაა შეფასებული ძველ ხანებში შედგენილი კომენტარები და სქოლიოები, რომლებიც ჩვენში დიდ ინტერესს აღძრავენ, რადგან ისინი შეიცავენ მრავალ საყურადღებო ცნობას საქართველოს წარსულის შესახებ. „შედარებით გვიან ხანებში შეთხზული ნაწარმოებები და სქოლიასტების განმარტებანი იმით იქცევენ ყურადღებას,—აღნიშნავს აკ. ურუშაძე,—რომ მათში უძველესი მითოლოგიის რესტავრაციის მიზნით ძველისძველი თქმულებები და

ამჟამად დაკარგული წყაროებია გამოყენებული. ელინური პერიოდის ცნობები... უპირატესად ეხება ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებას, რომელიც ხან აიასს, ხან კოლხეთის და ხანაც სკეითიის სახელით მოიხსენიება. ელინური პერიოდის წყაროებში დაცულია მრავალი საყურადღებო უწყება ძველი კოლხეთის—აიას გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის თვალსაზრისით. უფრო სანდო და ძვირფასია ის ცნობები, რომლებიც ელინისტური პერიოდის ბერძენ მწერალთა და მეცნიერთა თხზულებებში მოიპოვება. ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, გაძლიერდა ბერძნული სამყაროს ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ბერძენთა გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცოდნის ჰორიზონტიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა“. აკ. ურუშაძის ხსენებული მონოგრაფია გამოირჩევა დახვეწილი მეცნიერული განსჯით, ქართული სამყაროსათვის ძვირფასი ცნობების სიუხვით, ბერძნული ტექსტების ქართული თარგმანების ზედმიწევნითი სიზუსტით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით. იგი ნამდვილად სამაგიდო წიგნია.

აკ. ურუშაძის მონოგრაფიაში „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართული (resp. კოლხური) დამწერლობისადმი მიძღვნილი ნაკვეთი. აქ სრულადაა განხილული ჰიპოთეზა ქართულა ანბანის V საუკუნეში შექმნის შესახებ. ივ. ჯავახიშვილი ასეთ ვარაუდს მცდარად მიიჩნევდა: „V—VI სს-ზე უწინარესი დროის ქართული დამწერლობის ძეგლების ჯერბნობით აღმოუჩენლობა ქართული ანბანის სიძველის უცილობლად დამარღვეველ საბუთად ვერ გამოდგება“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 236). ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშების (ბოლნისი, პალესტინა) განხილვის შემდეგ აკ. ურუშაძე ყურადღებას ამახვილებს ბერძნულ წყაროებში დაცულ ორ ცნობაზე: 1 ხარაქს პერგამონელის (ახ. წ. II ს.) ცნობები. 2. აღრინდელი ცნობა კვრებების შესახებ. ხარაქსის და რიგ ავტორთა მოწმობით ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხერხი „ოქრო-დამწერლობისა“, „წიგნი ტყავებზე ნაწერი, შემცვლელი იმისა, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებით“, ოქროს ბეწვიანი სასმისი, რომელიც იასონმა და არგონავტებმა მოიპოვეს, როდესაც პონტოს ზღვით კოლხეთში მივიდნენ... ეს ისე კი არ იყო, როგორც პოეტურად არის გადმოცემული, არამედ ეს იყო ტყავებზე დაწერილი

წიგნი... ჩანს მაშინდელი ხალხი ამ ტყავს უწოდებდა ოქროსას მის-
გან მიღებული შედეგის გამო“ (სვიდა X ს, საწმისის) Δέρμα (გან-
მარტება). ბერძენი ავტორები ცდილობდნენ მითების, ოქმულებებისა
და ლეგენდების ალეგორიულ-ისტორიული განმარტების მოცემას, კეშ-
მარტების მარცვლების დადგენას, მოძიებას. ბერძენთა განმარტებით,
კოლხებს დამწერლობა ძველთაგანვე ჰქონიათ. ამასთანავე აკ. ურუ-
შაძე მართებულად შენიშნავს, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში გამოთქმული მოსაზრებებისაგან განსხვავებით ხარაქსის ცნო-
ბაში მისი თანამედროვე დამწერლობის შესახებ კი არაა მსჯელობა,
არამედ კოლხთა უძველეს დამწერლობაზე.

აკ. ურუშაძე სრულად მიმოიხილავს ცნობებს კვრების შესახებ.
პირველად ეს ცნობა დადასტურებულია აპოლონიოს როდოსელის
„არგონავტიკაში“ (IV წიგნი), სადაც აღნიშნულია, რომ კოლხებს
შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვრები, რომ-
ლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელე-
თის ყველა გზა და ს:ზღვარი“. აკ. ურუშაძე გვთავაზობს კვრების
თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა
კრიტიკულ ანალიზს: მეცნიერი თვლის, რომ კვრბის (Κύρβις) ეტიმო-
ლოგია ბერძნულ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე უნდა
გაირკვეს, მითუმეტეს რომ თვით ბერძნულ ტრადიციაში ამ სიტყვის
წარმომავლობის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს (კრატინე,
ლისია, არისტოფანე, პლატონი, არისტოტელე, პლუტარქე, ფოტიოსი,
აპოლოდორე ათენელი, ტიმეოსი და სხვ.). „ბერძენ ავტორებს, ჩანს,
მთლად ნათელი წარმოდგენა კვრებზე არ ჰქონიათ. ამის მიზეზი
უნდა ვივარაუდოთ (და ეს ვარაუდი თვითონ ბერძენთა გადმოცემას
ემყარება), ის იყო, რომ კვრები ბერძნული სამყაროსათვის უცხო
წარმომავლობის, წინაელინური მოსახლეობის — პელასგების წიაღში
წარმოშობილ ძველისძველ ძეგლებს წარმოადგენდნენ, დროთა განმავლო-
ბაში უცხო წარმომავლობის კვრები ბერძნულ „აქსონებს“, სვეტებზე
წარწერილ კანონებს გაუთანაბრეს“ (აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი
არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ 158).

ბერძენი ავტორების ცნობათა კომპლექსში აკ. ურუშაძე უაღრესად
საყურადღებოდ და რეალური სინამდვილის შემცველ ცნობად მიიჩნევს
იმას, რომ კვრები ძველისძველი ფირფიტები იყო (ქვის, თიხის ან
სპილენძის, რომლებიც საკრალური ხასიათის ჩანაწერებს შეიცავდნენ

და იმ მინიშნებებს, რომელთა მიხედვით კვარების აღმოჩენა მიეწერებათ კორიბანტებს (თეოპომპე, „ლეთისმოშიშობისათვის“. თეოფრასტეს ცნობა კრეტელი კორიბანტების შესახებ, ფოტიოსი) ანტიკურ წყაროთა ჩვენებით კორიბანტები მცირე აზიის ავტოხთონური ტომებისა და წინაელნიურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელასგელების მატრიარქალური ღვთაების კვბელეს ქურუმები იყვნენ დიოდორე სიცილიელის ცნობით, კრეტელა კორიბანტების მამამთავარი კორიბანტი—კირბანტი-(Κῆρυψας-Κῆρυξ) კვბელსა და იასონის ძეა. ელინურ ხანაში პელასგურ-მცირეაზიული ღვთაების „დიდი დედის“ (*Magna mater deorum*) კვბელეს შეერწყა რეას კულტს — უნდა მომხდარიყო კუნძულ კრეტაზე, სადაც საერთოდ ცნობილია აღმოსავლურ-მცირეაზიული და ელინური კულტების შერევა. აქ რეა—კვბელე ზევსის დედად იქნა აღიარებული, ხოლო მისი ქურუმები—ქურეტები კორიბანტებს გაუთანაბრეს (გვ. 158). აკ. ურუშაძე ყურადღებას ამახვილებს სტრაბონის გადმოცემაზე, რომ კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის—კვარების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან რკინის მეტალურგიის, მჭედლობის მფარველ ლემნოსელკაბირებს: „...ტიტანებმა რეას (*resp.* კვბელს) გადასცეს შეიარაღებული მცველები = კორიბანტები, რომლებიც კრეტაზე ბაქტრიანიდან არიან წამოსულნიო. ზოგიერთები კი ამბობენ, კოლხთაგანნი (Ἕκ Ἀθλῆων) არიანო“... (X, 3. 19). კლიმენტი ალექსანდრიელი უძველეს წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს, რომ კვბელეს ქურუმები—იდელი დაქტილები (ე. ი. კორიბანტები—კაბირები) იყვნენ პირველი ბერძენი ქურუმები, რომელთაც აღმოაჩინეს მუსიკის რიტმი და შექმნეს მაგიური ძალის მქონე ეფესური დამწერლობა (Τὰ Ἐφέσια ῥαβδισμῶς). იმის გათვალისწინებით, რომ წერის ხელოვნებას უძველეს ხანებში ქურუმთა კოლეგიები წარმართავდნენ, აკ. ურუშაძე დასაშვებად მიიჩნევს, რომ კოლხური (ქართული) დამწერლობაც, კვარების სახით, ქურუმთა „კორიბანტ-კაბირების, დაქტილების) წრეში გაჩენილიყო. შეიძლება, ეს დამწერლობა მცირე აზიაში შეიქმნა და შემდეგ გადაინერგა კრეტაზე; შეიძლება, პირუკუ ვითარებაც ვივარაუდოთ. აბ. როდოსელისა და სხვა ბერძენ ავტორთა ცნობები კვარებზე უტყუარი ცნობებია და კოლხურ ტომებში უძველეს ხანებიდანვე არსებულ დამწერლობაზე მეტყველებენ (გვ. 165). საყურადღებოა აკ. ურუშაძის დაკვირვებები „მინოსურ მოსახლეობაში“ კოლხური

ტომების ადგილის განსაზღვრის, კრეტის უძველესი წარწერების ენას ფ. შახერმეიერის შეხედულებათა შეფასების „მინოსური დამწერლობის“ კვლევა-ძიებაში იბერიულ-კავკასიური ენების ჩართვით გარკვეული პერსპექტივების ხედვის თვალსაზრისით.

„არგონავტიკის“ პირველი ქართული თარგმანი, რომელიც აკაკი ურუშაძემ შეასრულა, 1948 წელს გამოიცა ბერძნული ტექსტის და-ურთველად. შემდგომში ქართველმა მკითხველმა მიიღო საგრძნობლად შესწორებული და გადახალისებული გამოცემა (აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი. 1970). ეპიკური საზომით — დაქტილური ჰექსამეტრით გამართული „არგონავტიკა“ აკ. ურუშაძემ პროზაულად თარგმნა. „მსატკრული თარგმანის პრეტენზია მას („არგონავტიკის“ ქართულ თარგმანს—ვ. ა.) არა აქვს. რამდენადაც სამეცნიერო მიზნებს ისახავს და შინაარსობრივი სიზუსტეც მასში მაქსიმალურადაა დაცული“ (გვ. 5). ზემოაღნიშნულის მიუხედავად ქართული თარგმანი ძალზე სასიამოვნოდ იკითხება და პოეტური განცდითაა აღბეჭდილი.

აღნიშნული წიგნის მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ აკ. ურუშაძის მიერ თარგმნილი თხზულება კოლხეთთან დაკავშირებული თქმულების საფუძველზეა აგებული და მრავალ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს ძველ ქართველ ტომთა და მათ სამკვიდრებელ ადგილთა შესახებ. „არგონავტიკა“ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეთნოგრაფიული მასალის სიუხვით. პოემა ერთ-ერთი უძველესი და ბერძნულ წყაროებში ყველაზე უფრო ვრცელი ნაწარმოებია, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი ქართველურ ტომთა დასავლური გაერ-თიანება აია, ანუ კოლხეთი. გამოკვლევაში, ისევე როგორც წინა გამოცემაში, ოლონდ უფრო ვრცლად, მრავალრიცხოვან სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, აკ. ურუშაძე გადმოგვცემს აპოლონიოს როდოსელის ბიოგრაფიას. მიმოიხილავს „არგონავტიკის“ წყაროებს, ეხება პოემის შედგენილობას და, რაც ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა, საფუძვლიანად განიხილავს როდოსელის ცნობებს საქართველოს შესახებ. აქ განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აპოლონიოს როდოსელი პირველი ბერძენი ავტორია, რომელიც პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად პირდაპირ კავკასიის მთებს ასახელებს (II, 1231—1259). აკ. ურუშაძე ყურადღებას ამახვილებს ამარანტე-

ბის მთებზე, კირკონის ველზე. აქ, კენტაიისის ხმელეთსა და ამარანტების მთებზე, კირკონის ველზე, ამარანტების შორეული მთებიდან გამომდინარე მორევიანი ფაზისი მიაგორებს ფართო ნაკადს ზღვისაკენ (II, 399—401), მაკრონებზე (მაკრისელებზე), პელასგ დოლიონებზე და ა. შ.

აქ. ურუშაძის რედაქტორობით შემდგომში გამოიცა „არგონავტიკის“ პოეტური თარგმანი (აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, თარგმანი და შესავალი წერილი აკაკი გელოვანისა, რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი აკაკი ურუშაძისა, თბ., 1975).

ის, რომ აკაკი ურუშაძეს ხელეწიფებოდა მხატვრული თარგმანიც, ძალუმად გამოვლინდა მის მიერ ორიგინალიდან ბრწყინვალედ გადმოქართულებულ პლუტარქეს „რჩეულ ბიოგრაფიებში“. ბერძნული პროზაული მწერლობის ამ უაღრესად პოპულარული ძეგლის პირველი თარგმანი დედნიდან სწორედ აკაკი ურუშაძეს ეკუთვნის (აღრე „პარალელური ბიოგრაფიების თარგმნა ნიკო დადიანის დავალებით მღვდელ იასე გარსევანიშვილს უცდია“, იგი დაცულია S-258 H-1422 და სხვა ხელნაწერებში).

პლუტარქეს ბიოგრაფიების აკაკი ურუშაძისეული თარგმანი შეიცავს 13 ბერძენ-რომაული მოღვაწის ბიოგრაფიას. ესენია: თეზეუსი, რომულუსი, ლიკურგე, სოლონი, ლუკულუსი, ევმენე, სერტორიუსი, პომპეუსი, ალექსანდრე მაკედონელი, გაიუს იულიუს კეისარი, ტიბერიუს გრაქუსი, გაიუს გრაქუსი და ციცერონი. პარალელურად წარმოდგენილია თეზეუს-რომულუსის, ევმენე-სერტორიუსის, ალექსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისარის ბიოგრაფიები, დანარჩენები მოკლებულია ცალ-ცალკე. აქ. ურუშაძე, ბუნებრივია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლუკულუსისა და პომპეუსის ბიოგრაფიებში დაცულ ცნობებს კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. სხვა წყაროებთან ერთად, აღნიშნავდა იგი ბიოგრაფიების მეორე, 1975 წლის გამოცემაში, პლუტარქეს ამ ცნობებს საქართველოს ანტიკური პერიოდის ისტორიისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს: მეტადრე მაშინ, როცა ამ ეპოქის ეროვნული წერილობითი ძეგლები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება“ (გვ. 18). მეორე გამოცემაში დამატებულია რომულუსის, ევმენეს და სერტორიუსის ბიოგრაფიები.

„პარალელური ბიოგრაფიების“ გარდა, აკაკი ურუშაძემ თარგმნა ქსენოფონტეს „სოკრატეს აპოლოგია“, „მოგონებები სოკრატეზე“, ჰორაციუსის „პოეტიკა“. „მისი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახ-

ლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტყვობაჲ...“ აღინიშნა და დაფასდა მკითხველის მიერ.

გარდა პროზაული თარგმანებისა, აკ. ურუშაძემ ლექსად გადმოიღო ბერძნული და რომაული პოეზიის არაერთი შესანიშნავი ნიმუში, მაგრამ ბატონი აკაკი ზოგჯერ თავს იკავებდა მათ გამოქვეყნებაზე. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავდა: „ჩემი აზრით, ბერძნული და რომაული ლირიკის ნიმუშები საგანგებოდ შერჩეული ქართული სალექსო საზომებით აღდეკათურად უნდა ითარგმნოს, რაც შეეხება ბერძნულ-რომაული კვანტიტატიური საზომით შეთხზულ ეპიკურ თხზულებებს, ისინი, ეტყობა, მაღალი მხატვრული დონის პროზითაა სათარგმნელი. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს „ოდისეას“ ქართული პროზაული თარგმანი, რომელიც ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის მიერაა შესრულებული... კარგ პროზაულ თარგმანებს მკითხველი ხალისით კითხულობს, ლექსით შესრულებულ ანტიკური პოემების თარგმანებს კი მკითხველი თითქმის არა ჰყავს... ერთი სიტყვით, მგონი, გასაგებია, რატომ არ ვაქვეყნებ ანტიკურ თხზულებათა პოეტურ თარგმანებს“ (1987 წ.). ამავ დროს დასანანია, რომ ჩვენი მკითხველი მოკლებულია საშუალებას გაეცნოს ბატონ აკაკის მიერ შესრულებულ პოეტურ თარგმანებს, რადგან ისინი სხვა ფაქტორებთან ერთად ინტერესს აღძრავენ როგორც ლიტერატურული ფაქტი ავსებენ ბერძნულ-რომაულ ლიტერატურულ ნიმუშთა ქართულ ენაზე ამეტიყვევლების სურათს. ამ თარგმანთა რიგს მიეკუთვნება ხსენებულ მიზეზთა გამო დღემდე გამოუქვეყნებელი „ილიადის“ I სომღერის აკ. ურუშაძისეული პოეტური თარგმანი (1959 წ.) მოვიტანთ ფრაგმენტებს ამ თარგმანიდან:

„მიმღერე, მუზავ, აქილევსის რისხვა მზარავი,
რამაც აქაველთ თავს დაატეხა ტანჯვა ათასი
გმირთა უღრეკნი სულნი მრავლად ჩაამხო ჰადესს,
ხოლო გვაძეპი ძალთ და ფრთოსანთ გ:უნდაღელა —
ყოვლისმძლე ზევსის გულზრახული აღსრულებოდა —
იმ დღიდან, ოდეს ურთიერთზეამხედრდნენ გმირნი —
ვაჟაკთ მეუფე ატრიდი და მძლე აქილევსი.
რომელმა ღმერთმა შეარკინა ჯიბრით მამაცნი?
ლეტოს ზევსის ვაჟიშვილმა: მეფეზე მწყარალმა
სპას ავი სენი შეუღია, შემეღსრა ხალხი,

რაკი ატრიდმა გაუწვილა ქურუმი კრიზე“ (1—11);
 „ესრე თანხმობით დაიშალნენ. თეტიდა მყისვე,
 წაქუსწრაფესად ოლიმპოდან ღრმა ზღვას ჩაეშვა;
 ზეესი შებრძანდა სრა-ღარბაზში; ღმერთნი უკლებლივ
 ზე წაბოლდგენ უკვდავთ მამას, ვერვინ შეჰყადრა
 საუბრელს მკდომი დახედროდა შემობრძანებულს.
 ტახტზე დაბრძანდა კრონიონი. პერას ეხილა —
 ვით ეთათბირა ზევსს თეტიდა ვერცხლისფეხება —
 ზღვის უბუცესი განმგებელის ნაზი ასული —
 და კრონიონ ზევსს გამჭირდავი სატყეით მიჰმართა:
 „ცბიერო ღმერთო. ვინ იყო რომ რჩევას შეგთხოვდა?
 მარადეამს ცდილობ, ჩემგან თავი დაიმართო,
 ჩემგან უმძრახად განიზრახო საქმე ყოველი
 და არ ინებო, მეც მაუწყო აზრები შენი“ (531—543)
 „საზარი საქმე იქნება და აუტანელიც:
 მოკვდავთა გამო თუ თქვენ ესრეთ წაიცილენით
 და უკვდავთ შორის ჩამოაგდეთ შფოთი; ეს ლბინიც
 ჩაგვიმწარდება, ბოროტებამ თუ იხეიმა!
 გირჩევ დედაო. თუმც ზევსს აამო, რომ არ განრისხდეს
 და გაცამწყარალმა ჩიეფ ნა: იმი არ აგვირიოს“ (573—579)

მე მაინც ვფიქრობ, რომ ბატონ აკაკის მიერ შესრულებული პოეტური თარგმანები უთუოდ იმსახურებს გამოქვეყნებას! თუნდაც როგორც ელინური ქმნილებების ქართულად გადმოღების მთლიანი პროცესის გათვალისწინების თვალსაზრისით.

აკაკი ურუშაძე დიდი გულმოდგინებით აზიარებდა სტუდენტობას კლასიკურ სამყაროს. განსაკუთრებით დიდი მის მიერ შედეგენილი სახელმძღვანელოების მნიშვნელობა. 1969 წელს გამოვიდა „ძველი ბერძნული ენა“ (სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლებისათვის, I გამოცემა, თსუ გამომცემლობა). წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ძველი ბერძნული ენის შესწავლას ჩვენში ამ ბოლო დროს მეტი ყურადღება ექცევა. გარდა იმისა, რომ ამ ენის ცოდნას ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს და აუცილებელ პირობას წარმოადგენს ელინური ცივილიზაციისა და ბიზანტიური კულტურის ასათვისებლად, იგი უაღრესად საჭიროა ფილოლოგიისა და საისტორიო მეცნიერებათა დარგებში მომუშავე ქართველოლოგისათვის. საქართველოს კულტურული წარსულის მკვლევარს ბერძნული ენის კარგი ცოდნა საშუალებას მისცემს მთელი სისრულით გაითვალისწინოს ელინური სამყა-

როსა და ქართველ ტომთა მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ურთიერთობა და ღრმად შეისწავლოს საქართველოს შესახებ არსებული ის ფასდაუდებელი ცნობები, რომლებიც უხვადაა დაცული ანტიკური ეპოქისა თუ ბიზანტიური ხანის ბერძენ მწერალთა თხზულებებში“ (გვ. 3). უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძნული ენა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდანვე ისწავლება და სხვადასხვა ავტორთა მიერ სახელმძღვანელოების შედგენის ცდები ადრეც იყო (ა. ჯვარშიევილი, 1926; პ. აბულაძე და ი. ნიჟარაძე, 1940; ი. ნიჟარაძე, 1951. ეს უკანასკნელი გამოცემა აკ. ურუშაძის გადამუშავებით გამოვიდა 1965 წ.; ს. ყაუხჩიშვილი, 1934, 1940, 1967 წწ.). ეს სახელმძღვანელოები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და, ამასთანავე, ძველი ბერძნული ენის შესწავლის მსურველთა გაზრდილი მოთხოვნილებების გათვალისწინებით საჭირო გახდა ახალი ტიპის სახელმძღვანელოს შექმნა. ეს ამოცანა შეასრულა პროფესორმა აკაკი ურუშაძემ, რისთვისაც თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს 1971 წლის 29 მარტის დადგენილებით შრომას უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია მიენიჭა. სახელმძღვანელო წარმოადგენს ძველი ბერძნული ენის ანტიკური დიალექტის გრამატიკის სისტემატურ კურსს. წიგნში თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი. მორფოლოგიის ნაწილში დაწვრილებითაა განხილული ზმნა და, შესაბამისად, მას დიდი ადგილი ეთმობა. გრამატიკული მოვლენები ხშირად შედარებული ან შეპირისპირებული სხვა ენებთან—ლათინურთან, ქართულთან, რუსულთან და სხვა. ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის აღწერას ხშირად ერთვის თან ამ მოვლენის ახსნა ბერძნული ენის ისტორიული გრამატიკის თვალსაზრისით. წიგნის საგრამატიკო ნაწილს დამატების სახით ერთვის „ძირითადი ცნობები ბერძნული მეტრიკიდან“ და „წარმოთქმა ბიზანტიური პერიოდისა და მომდევნო ხანის ბერძნულში“. აქვეა წარმოდგენილი ბერძნული პროზის, ეპოსისა და ლირიკის ნიმუშებისაგან შემდგარი მდიდარი ქრესტომათიული მასალა. 1987 წელს გამოვიდა აკ. ურუშაძის „ძველი ბერძნული ენის“ მეორე გადამუშავებული და შეესებული გამოცემა.

აკაკი ურუშაძემ საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნა ბერძნული მწერლობის სხვადასხვა გამოძახილს ძველ ქართულ მწერლობაში. მართალია, ძველი ქართული მწერლობის ადრინდელ პერიოდში—კლავ-

სიკუთრ ხანაში არაა დადასტურებული „ილიადასა“ და „ოდისეას“ სრული თარგმანები, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ჰომეროსისეული კარედის ძველი ქართული თარგმანი. მათგან ორზე პირველად პავლე ინგოროყვამ მიუთითა 1938 წელს (რუსთაველის ეპოქის, სალიტერატურო მემკვიდრეობა): „არა კეთილ არს მრავალუფლებად, ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფე“ (შდრ. „ილიადა“, II, 204—205); „ამის ვისიმე დგომა ცხენისაჲ სასმენელ იქმნა ბაგათა ზედა“ (შდრ. „ილიადა“, VI, 506). მესამეზე 1946 წელს ყურადღება გაამახვილა ს. ყაუხჩიშვილმა („ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზნტიური ლექსთწყობის საკითხები“): „ბარბით მცემელობს პირმშო-შობ, ვერ მეცნიერი შობისაჲ“ (შდრ. „ილიადა“, XVII, 3—5).

1975 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ჰომეროსის მოხსენიება და დაქტილური ჰექსამეტრის გადმოცემა ძველ ქართულ მწერლობაში“ პროფ. აკაკი ურუშაძემ გამოავლინა კიდევ სამი ჰომეროსისეული კარედის ძველქართული თარგმანი. ეს ციტატები, რომელთაც ჩვენ ვხვდებოდით ნონეს კომენტარების ეფრემ მცირესეულ თარგმანში, მიჩნეული იყო პროზაულ ტექსტებად. აკაკი ურუშაძემ დაასაბუთა, რომ სამივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ოცმარცვლიანი „ფისტიკაურის“ გამოყენებასთან. პირველ შემთხვევაში დადასტურებული ჰექსამეტრული კარედი (ბატონი აკაკი ყოველთვის „კარედით“ აღნიშნავდა დაქტილურ ჰექსამეტრს) „ილიადიდანაა“ (XVI, 233—235): „მჩობლ ხარით სელლოჲ მსახურ ტაძრისა უბანელ ფერკით და მწოლ სიხმელით“. დანარჩენი ორი ციტატის (არკადიელნო, ბადმელოვანნო, ნუ ბადებთა იპყართ რაჲ (ა)?; „რანი ვიპყრენით, იგი განგუეველთნეს, ხოლო ვლთოლეილნი ესერა გუყვანან“) წყაროს, როგორც მეცნიერმა გაარკვია, შეადგენს XVI ეპიგრამას ჰომეროსისათვის მიწერილი იმ ეპიგრამების ჯგუფიდან, რომლებიც გვიანდელ ხანებში ჩანან შეთხზულნი.

ამ საკითხების შესწავლას აკ. ურუშაძემ საგანგებო მონაკვეთი დაუთმო თავის უაღრესად საყურადღებო წიგნში „ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები“ (1980), რომელშიც საფუძვლიანადაა განხილული ანტიკური კვანტიტატიური მეტრიკა, ბერძნული და კლასიკური ლათინური ლექსთწყობის საზომები, ღრმადაა გაანალიზებული ამ საზომთა გადმოცემის ცდები ძველსა თუ ახალ ქართულ მწერლობაში.

წიგნში „ქართული კულტურის კერა ბულგარეთში“ (1969 წ.) აკ. ურუშაძე ძალზე სასიამოვნოდ და მიწვიდევლად მოგვითხრობს პეტრიწონის (ბაჩკოვოს) სავანის, მისი დამაარსებლებისა და მოღვაწეების, იქ დაცული ძველი ქართული არქიტექტურის ნიმუშების, ხელნაწერებისა და ნივთების შესახებ. 1968 წელს ავტორი ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილთან ერთად ბულგარეთში იმყოფებოდა მივლენებით. ამ მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილების სხარტად აღწერასთან ერთად აკ. ურუშაძე საგულისხმო მეცნიერულ დაკვირვებებს გვთავაზობს, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მისი მოსაზრებები გრიგოლ ზაკურია-ნისძისა და მისი ძმის მაგისტროს აბასის მიერ 1083 წელს დაარსებული პეტრიწონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის შესახებ. ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი I კომნინოსმა გრიგოლი „სეფასტიოსის“ პატივით შეამკო და ზედიზედ დასავლეთის დიდი დომესტიკოსის, ანუ იმპერიის ევროპულ თემებში ბიზანტიის წარების მთავარსარდლის პატივი უზოდა. ისიც ცნობილია, რომ ანა კომნინოსი „ალექსიადაში“ გრიგოლს მამაცური შემართების გამო ერთგან ჰომეროსის სიტყვებით ახასიათებს; ბაკურიანი ტანით დაბალი იყო, მაგრამ მამაცი მებრძოლია. აქ გრიგოლი შედარებულია „ილიადას“ გმირის დიომედეს მამასთან—ტიდეესთან; „მამაცი მებრძოლი იყო ტანით მომცრო ტიდეესი გმირი“ („ილ.“, 5, 801).

აკაკი ურუშაძე მსჯელობს გრიგოლის მიერ ქართულ და ბერძნულ ენებზე შედგენილ ტიპიკონზე (სამონასტრო წესდებაზე), მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს წესდების იმ ადგილზე, სადაც აღნიშნულია, რომ მონასტერი განკუთვნილი იყო მხოლოდ ქართველებისათვის: „ასეთი მკაცრი დადგენილება გრიგოლმა იმიტომ მიიღო, რომ მის დროს საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებში (განსაკუთრებით ათონსა და შავ მთაზე) ბერძნები მეტისმეტად ავიწროებდნენ ქართველ ბერებს. „ასეთ ბრძანებას იმის გამო ვცემ ასე მტკიცედ, რომ ბერძნები მოძალადენი არიან, უპირობი და ანგარნი, და მონასტერს რამე გაჭირვებას და ვნებას შეამთხვევენ, ან ვინმე მოწინააღმდეგეს დააყენებენ ადგილზე, რომელიც შეეცდება იქ გაბატონდეს, ან მამასახლისობა თვითონ მიითვისოს. ან სხვა რამე დაწყევლილი საბაბით მონასტერი მიიჩემოს, რაც ჩვენ ხშირად გვინახავს მათგან ჩადენილი ჩვენი ტომის გულუბრყვილობისა და გულმართლობის გამო“ (გვ. 27). ტიპიკონს არაერთმა ქართველმა მეცნიერმა უძღვნა მნიშვნელოვანი გა-

მოკვლევები (ნ ბერძენიშვილი, აკ. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ლ. მენაბდე რ. სირაძე და სხვ.). განსაკუთრებით საყურადღებოა აკ. ურუშაძის დაკვარება ქართველი ფილოსოფოსის იოანეს ზედწოდების „პეტრიწის“ განმარტებასთან დაკავშირებით.

მართალია, „პეტრიწის“ ეტიმოლოგიის გარკვევისას გერმანე მონაზონი, დავით რექტორი და იოანე ბაგრატიონი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს სიტყვა აღნიშნავს „ქვის მფხეკელს“, აკაკი ურუშაძის აზრით, „პეტრიწი“ უფრო მტკიცედ უკავშირდება ბულგარეთის ქართული მონასტრის სახელს — „პეტრიწოსს“ (Πετριτσος), ვიდრე „ქვის მფხეკელის“ აღმნიშვნელ სიტყვას, „ქვის მფხეკელი“ ანუ „ქვის მთლელი“ ბერძნულად არის არა „პეტრიწი“, არამედ „პეტრას“ (Πετρας). აქვე მეცნიერი მხარს უჭერს იმ თვალსაზრისს, რომ იოანე პეტრიწს ცნობილ მიზეზთა გამო „მანგანის აკადემიაში“ აღარ დაედგომებოდა და იმ დროს არც საქართველოში შეეძლო დამკვიდრება. მან, ცხადია, მიაშურა იმ ქართულ მონასტერს, რომელიც სამოღვაწეო ფრთებს შლიდა და კონსტანტინეპოლის ახლოს იყო“ (გვ. 59). ასევე საგულისხმოა აკ. ურუშაძის მინიშნებანი სინოდის ბიბლიოთეკაში დაცულ პეტრიწონის ხელნაწერებზე, რაც ქართველ მეცნიერთათვის მომავალში უთუოდ საინტერესო უნდა აღმოჩნდეს.

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ შესულია აკ. ურუშაძის 80-მდე სტატია (ათენეოს ნაეკრატისელი, აქუსილაე, აპოლოდორე ათენელი, აპოლონიოს როდოსელი, აპოლონიოს დისკოლოსი, აპულეუსი, არგონავტების თქმულება, ბერძნული ენა, ბერძნული დამწერლობა, ავლუს გელიუსი, დიონისიოს პერიეგეტე, იუვენალისი, იოანე ცეცე, კალიმაქე, კალინე, კატონი, კვინტოს სმირნელი, კატულუსი, ლათინური ანბანი, ლათინური ენა, ლივიუსი, ლიკოფრონი, ლუკიანე, ლუკრეციუსი, მარციალი, მიმნერმე, ნევიუსი, ნიკიტა ევგენიანე, ნონოს პანოპოლეი, ოვიდიუსი, პავლე სილენციარი, ფედრუსი, ფოტიოსი და სხვ.).

აკაკი ურუშაძის თაოსნობით უნივერსიტეტში დაიწყო გრიგოლ წერეთლის არქივის შესწავლა. ზომზადდა გრ. წერეთლის გამოუქვეყნებელ შრომათა I ტომი (Г. Ф. Церетели) Труды по истории античной литературы, Издательство ТГУ, Тб., 1993, редакторы А. В. Урушадзе, Р. В. Гордезиани), დაიწყო II—III ტომების დამუშავება.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ ხანს აკაკი ურუშაძე მუშაობდა „რო-
მაული ლიტერატურის ისტორიაზე“, გამოსაცემად ამზადებდა პლი-
ნიუს უფროსის ცნობებს საქართველოს შესახებ და პლუტარქეს „პა-
რალელური ბიოგრაფიების“: III ნაწილს; დაასრულა უაღრესად მნიშ-
ვნელოვანი მონოგრაფიები „შუა საუკუნეების ლათინურენოვანი ავ-
ტორები საქართველოს შესახებ“ და „ქუთაისი ბერძნულ და რომაულ
წყაროებში“ (გამოიცა 1993 წ.).

აკაკი ურუშაძე საღმიანი და კეთილმოსურნე ადამიანი იყო. უაღრე-
სად გულისხმიერი სტუდენტების მიმართ. გატაცებით უკითხავდა მთ-
ლექციებს, აზიარებდა კლასიკურ ენებსა და მწერლობას. თუკი ახა-
ლგაზრდაში მეცნიერებისადმი მიდრეკილებას შენიშნავდა, ყუველმხრივ
ცდილობდა ხელი შეეწყო მისთვის. ახარებდა ის ფაქტი, რომ თანდა-
თან ფართოვდებოდა ფილოლოგ-კლასიკოსთა წრე, იზრდებოდა მეც-
ნიერთა და ბერძენ-რომაულ ავტორთა ქართულად მთარგმნელთა
რიცხვი. ბერძნულ-ლათინურ ბიბლიოთეკაში დროის მცირე მონაკვეთ-
ში მრავალი მაღალხარისხოვანი თარგმანი შეიქმნა პირველად. სასი-
ხარულოა, რომ დღეს ეს საქმიანობა წარმატებით გრძელდება!
ბატონი აკაკი ხშირად რედაქტორობდა თარგმანებს და დიდ დროს
უთმობდა ამ უაღრესად საჭირო საქმეს, უაღრესად აფასებდა მის მნი-
შვნელობას. ამის მაგალითები მრავალია. მოვიტან მხოლოდ ერთს.
1977 წელს აკაკი ურუშაძის რედაქტორობით გამოვიდა „ორფიკული
არგონავტიკა“. ფსევდო-ორფეისის (ახ. წ. 3—4 საუკ.) ეს თხზულება
ანტიკური ეპოსის ერთ-ერთი უკანასკნელი ძეგლთაგანია და ძველი
კოლხეთის ისტორიის თვალსაზრისით მრავალ საყურადღებო ცნობას
შეიცავს. იგი ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო
ჩვენმა შესანიშნავმა უდროოდ წასულმა მეგობარმა ნათელა ჭელაშვილმა.

მას არ დასცალდა წიგნის ბოლომდე დასრულება და გამოცემა. ეს
დიდი სიყვარულით და მღელვარებით გააკეთა ბატონმა აკაკიმ. რედაქ-
ტორის წინასიტყვაობაში მთარგმნელის შესახებ იგი წერდა: „...მარ-
თ_აცდა, უდგოთ იყო დაკარგვა ამ ენერგიული, მეტად ნიჭიერი და
არაჩვეულ ბრივი შრომისმოყვარეობით გამორჩეული ახალგაზრდა ქა-
ლისა, რომელიც მხოლოდ ოცდამეშვიდე გაზაფხულს ეგებებოდა.
მისი სახით კლასიკური ფილოლოგიის ქართულმა სკოლამ დაკარგა
პერსპექტიული მკვლევარი, ჩვენმა მწერლობამ — ჩინებული მთარგ-
მნელი“.

როგორც აღვნიშნეთ, აკაკი ურუშაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კლასიკური ფილოლოგიის კათედრას. ასევე წლების განმავლობაში იყო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანი, იგი მრავალი საინტერესო საქმის წამომწყები იყო. სწორედ მის დროს ფილოლოგიის ფაკულტეტზე მრავალი ახალი განყოფილება თუ სპეციალიზაცია დაშენდა. ბატონი აკაკი ყოველმხრივ ცდილობდა განემტკიცებინა თბილისის უნივერსიტეტის კონტაქტები სხვადასხვა უნივერსიტეტთან. ეწეობოდა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები. მეცნიერს განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა მოსკოვის, ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგის), კიევის, რიგის, იენის და სხვა სამეცნიერო წრეებთან. იგი მონდომებით წარმართავდა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობას, დიდ დროს უთმობდა ამ საქმეს. მისი ხელმძღვანელობით არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომი მომზადდა.

